

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



2014 წელს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში თანამშრომელთა განთავისუფლების სტატისტიკური ანალიზი

ავტორი: **საბა ბუაძე**

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge**- ფარგლებში

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი **ღია საზოგადოება საქართველო** და **ღია საზოგადოების ფონდები**



კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები კუთვნიან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“ და ღია საზოგადოების ფონდების პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ნოემბერი, 2015
თბილისი

სარჩევი

შესავალი.....	3
1. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.....	5
2. კვლევის ფარგლებში მიღებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.....	5
3. ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა.....	7
3.1 სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრთა აპარატები.....	7
3.2 დამოუკიდებელი და სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები.....	11
3.2.1 დამოუკიდებელი სსიპ-ები.....	11
3.2.2 მთავრობას და სამინისტროებს დაქვემდებარებული დაწესებულებები.....	13
4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.....	20
4.1 ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა.....	21
5. დასკვნა.....	25

შესავალი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერილი პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, განახორციელა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა შესახებ.

2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად ცენტრალური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საჯარო სამსახურში მიმდინარე საკადრო ცვლილებები საზოგადოებაში დიდი განხილვის საგანი გახდა. აღნიშნულ პერიოდში ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ხშირი იყო განცხადებები, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით დათხოვნის და ნეპოტიზმის ნიშნით საჯარო სამსახურში თანამშრომლების მიღების შესახებ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით საჯარო სამსახურში არსებულ პრობლემებზე განცხადებები კეთდებოდა არამარტო ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების, არამედ მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც. მაგალითად, საჯარო სამსახურში საკადრო ცვლილებების დროს კანონით განსაზღვრული პროცედურების ხშირ უგულებელყოფაზე მიუთითებდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო სამსახურში განხორციელებული საკადრო პოლიტიკის შესახებ ანგარიშიც გამოაქვეყნა.¹

საჯარო სამსახურის საკადრო პოლიტიკის საკითხებით IDFI-იც აქტიურად არის დაინტერესებული. სწორედ აღნიშნულ სფეროს უკავშირდება ინსტიტუტის კვლევები „საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში“², „მრჩევლის ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებში“³, „ნეპოტიზმის ნიშნები კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში“⁴ და სხვა.

საჯარო სამსახურში მიმდინარე საკადრო ცვლილებები საზოგადოებაში დღესაც რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, IDFI ამჯერად შეეცადა გაერკვია, თუ რა მიზეზებითა და რა რაოდენობით ათავისუფლებდნენ თანამშრომლებს საჯარო დაწესებულებებიდან. აღნიშნულის გასარკვევად ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა საქართველოს 207 საჯარო დაწესებულებას, მათ შორის როგორც ცენტრალურ, ასევე

¹http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/sakadro%20politika%20sajaro%20samsaxurshi%20saparlameto%20archevnebis%20shemdeg%2C%20agvisto%202013_0.pdf

²<https://idfi.ge/public/upload/IDFI/opendata/gender2015.pdf>

³<https://idfi.ge/ge/report-advisors-at-public-institutions>

⁴<https://idfi.ge/ge/signs-of-%20nepotism-in-gncc>

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებს. წინამდებარე კვლევა ეყრდნობა სწორედ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზს.

კვლევაში არსებული სტატისტიკა ასახავს 2014 წლის მონაცემებს.

კვლევის დასაწყისში მოცემულია IDFI-ის მიერ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისთვის გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები და შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი. კვლევის შემდგომ ნაწილში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი მონაცემები სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, დამოუკიდებელ სსიპ-ებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობისა და მათი განთავისუფლების მიზეზების შესახებ.

წინამდებარე კვლევის მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების განთავისუფლება კვლავ დიდი მოცულობით ხდება. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით განთავისუფლება მოიცავს პირის სამსახურიდან დათხოვნას რამდენიმე სახის მიზეზით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით პირი შეიძლება განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან⁵:

- საკუთარი ინიციატივის საფუძველზე;
- სამსახურის ვადის გასვლის გამო;
- დაწესებულების ლიკვიდაციის გამო;
- შემცირების გამო;
- დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
- დისციპლინური გადაცდომისთვის;
- ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;
- გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო;
- სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის;
- სხვა დაწესებულებაში გადასვლის გამო;
- მოქალაქეობის შეცვლის გამო;
- გარდაცვალების გამო;

ამასთანავე, საჯარო სამსახურში ხელშეკრულებით დასაქმებული პირები განთავისუფლებული არიან საქართველოს შრომის კოდექსის 37 მუხლის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს, როგორც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლას ისე ხელშეკრულების ორმხრივად ან ცალმხრივად შეწყვეტას.⁶

⁵ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 103, 104, 105, 106, 107

⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 37

1. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, 2015 წლის მარტში, IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა სულ 207 საჯარო დაწესებულებას, მათ შორის 16 სამინისტროს, 3 სახელმწიფო მინისტრის აპარატს, 68 დამოუკიდებელ და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) და საქვეუწყებო დაწესებულებას, ასევე 120 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

ყველა ზემოხსენებული საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია **2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ, განთავისუფლების მიზეზების მიხედვით.**

2. კვლევის ფარგლებში მიღებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი

კვლევის ფარგლებში IDFI-ის მიერ გაგზავნილი მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს შემდეგმა სამინისტროებმა:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები ასევე უპასუხოდ დატოვეს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფმა შემდეგმა სსიპ-ებმა და საქვეუწყებო დაწესებულებებმა:

- აღსრულების ეროვნული ბიურო,
- იუსტიციის სახლი,
- მონაცემთა გაცვლის სააგენტო,
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო,
- სმართ ლოჯიქი,

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებია.

რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებს, წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI-ის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა სულ 9 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ.

როგორც ირკვევა, იმ საჯარო დაწესებულებებიდან, რომელთაც კვლევის ფარგლებში IDFI-ის ინფორმაცია მოაწოდეს, მხოლოდ 6 დამოუკიდებელ და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ

სსიპ-სა და ადგილობრივი თვითმმართველობის 13 დაწესებულებაში არ ჰქონდა ადგილი 2014 წელს თანამშრომელთა განთავისუფლებას.

სსიპ-ები, სადაც 2014 წელს თანამშრომელთა განთავისუფლებას ადგილი არ ჰქონია www.idfi.ge

1. საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი
2. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნების საინვესტიციო ცენტრი
3. ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
4. საქართველოს შსს-ს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
5. სამედიცინო მედიაციის სამსახური
6. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

თვითმმართველობის დაწესებულებები, სადაც 2014 წელს თანამშრომელთა განთავისუფლებას ადგილი არ ჰქონია www.idfi.ge

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო
3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
5. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო
6. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
8. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო
9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
10. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

11. დუშეთის გამგეობა

12. დედოფლისწყაროს საკრებულო

13. ხელვაჩაურის საკრებულო

3. ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა

3.1 სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრთა აპარატები

საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 2014 წლის განმავლობაში 14 სამინისტროს⁷ და 3 სახელმწიფო მინისტრის აპარატში სულ განთავისუფლდა 1737 თანამშრომელი. აღნიშნული უწყებებიდან ყველაზე მეტი თანამშრომელი (1225 პირი) განთავისუფლდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ყველაზე ნაკლები თანამშრომელი (3 პირი) კი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

2014 წელს განთავისუფლებული თანამშრომლების სიმრავლით მეორე ადგილზეა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (73 განთავისუფლებული თანამშრომელი), ხოლო მესამე ადგილს ინაწილებენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (თითოეულ სამინისტროში 52 განთავისუფლებული თანამშრომელი). სხვა დანარჩენ სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატებში 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა 48-დან 8-მდე მერყეობს.

2014 წელს სამინისტროებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა

www.idfi.ge

⁷ წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია IDFI-ის არ მოაწოდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, და იუსტიციის სამინისტროებმა

საჯარო დაწესებულებები	განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა
1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1225
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	73
3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	52
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	52
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	48
6. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო	45
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	43
8. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	39
9. საქართველოს სასაქონლო ურთიერთობებისა და პრობაციის სამინისტრო	36
10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	30
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	23
12. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	13
13. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	11
14. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	9
15. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და 8 ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	8
16. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3
17. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	27

2014 წელს 14 სამინისტროსა და 3 სახელმწიფო მინისტრის აპარატში განთავისუფლებული 1737 თანამშრომლიდან ყველაზე მეტი, 1402 თანამშრომელი, განთავისუფლებულ იქნა საკუთარი

ინიციატივის/ პირადი განცხადების საფუძველზე, მათ შორის 1113 პირი შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული 17 სახელმწიფო უწყებებიდან 10 უწყების მიერ IDFI-ისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში პირადი ინიციატივა/ განცხადება თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე ხშირ მიზეზად იქნა დასახელებული.

გარდა საკუთარი ინიციატივის საფუძველზე განთავისუფლებული 1113 პირისა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2014 წელს ასევე განთავისუფლდა 112 პირი, დისციპლინური გადაცდომის გამო. კონკრეტულად რა სახის დისციპლინური გადაცდომა გახდა აღნიშნული პირების სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი სამინისტროდან IDFI-ისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს.

ხელშეკრულებით დასაქმებულია 1320 პირი, მათ შორის 586 ქალი; ხელმძღვანელის პოზიცია უკავია 1987 პირს, მათ შორის 124 ქალს. 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საკუთარი ინიციატივით განთავისუფლდა 1113 პირი, დისციპლინური გადაცდომის გამო 112 პირი.

შსს-ს პასუხი 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე

დისციპლინური გადაცდომის მიზეზით 2014 წელს თანამშრომლები განთავისუფლდნენ ასევე შემდეგ სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატში:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (ცხრა თანამშრომელი),
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ერთი თანამშრომელი),
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო (ერთი თანამშრომელი),
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - (ერთი თანამშრომელი).

როგორც ირკვევა, 2014 წლის განმავლობაში სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრთა აპარატებში (სულ 17 უწყება) 116-მა პირმა მუშაობა შეწყვიტა სამსახურის/ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, ხოლო 79-მა პირმა - სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით. ამასთან, ზოგიერთ აღნიშნულ უწყებაში ადგილი ჰქონდა თანამშრომელთა განთავისუფლებას შემდეგი მიზეზებით:

- *მინისტრის გადადგომა* (განთავისუფლდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოთხი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამი თანამშრომელი),
- *გარდაცვალება* (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთი თანამშრომელი),

- შიდა აუდიტის სამსახურის მოხსენებითი ბარათი (განთავისუფლდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი),
- როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა (განთავისუფლდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი),
- სამსახურში დროებით არმყოფი მოხელის სამსახურში გამოსვლა (განთავისუფლდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთი თანამშრომელი),
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლი (განთავისუფლდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთი თანამშრომელი).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად „მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.“⁸ სწორედ აღნიშნულის შესაბამისად მოხდა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, 2014 წელს მისი ერთ-ერთი თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლება. გაუგებარია როგორ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლი საჯარო მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზად.

2014 წელს სამინისტროებსა და სახ. მინისტრთა აპარატებში (სულ 17 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით	
www.idfi.ge	
მიზეზები	განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა
პირად განცხადება	1402
სამსახურის ვადის გასვლა	116
დისციპლინური გადაცდომა	124
სხვა სამსახურში გადასვლა	79
მინისტრის გადადგომა	7
გარდაცვალება	3
როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა	2
შიდა აუდიტის სამსახურის მოხსენებითი ბარათი	2
სამსახურში დროებით არმყოფი მოხელის სამსახურში გამოსვლა	1
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლი	1
სულ:	1737

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312>

3.2 დამოუკიდებელი და სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, 63 დამოუკიდებელი და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის შეჯამების შედეგად ირკვევა, რომ 2014 წელს აღნიშნული საჯარო დაწესებულებებიდან მხოლოდ 6 დაწესებულებაში არ ჰქონდა ადგილი თანამშრომელთა განთავისუფლებას, სხვა დანარჩენი საჯარო დაწესებულებებიდან კი სულ განთავისუფლდა 3400 პირი, აქედან 568 პირი 16 დამოუკიდებელი სსიპ-დან, ხოლო 2832 პირი სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი 42 დაწესებულებიდან.

3.2.1 დამოუკიდებელი სსიპ-ები

2014 წელს სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომელების სიმრავლით დამოუკიდებელ სსიპ-ებს შორის გამოირჩევიან **საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი** და **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი**. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან განთავისუფლდა სულ 146 თანამშრომელი, ხოლო საქსტატიდან - სულ 186 თანამშრომელი.

146 შემთხვევიდან 114 შემთხვევაში საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და მის თანამშრომლებს შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა მხარეთა შეთანხმებით, საარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების გამო.

საქსტატის 186 განთავისუფლებული თანამშრომლიდან 147 თანამშრომელი განთავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე, მათ შორის უწყების სამტატო ნუსხით გათვალისწინებული 6 თანამშრომელი და მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სტატისტიკური კვლევების ფარგლებში აყვანილი 141 შტატგარეშე თანამშრომელი-ინტერვიუერი. 2014 წელს საქსტატიდან მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სტატისტიკური კვლევების ფარგლებში აყვანილი კიდევ 39 შტატგარეშე თანამშრომელი-ინტერვიუერი განთავისუფლდა. საქსტატის განმარტებით, ისინი დამსაქმებლის ინიციატივით განთავისუფლდნენ.

როგორც ირკვევა, 2014 წელს დამსაქმებლის ინიციატივით პირის სამსახურიდან განთავისუფლების 2 შემთხვევას ჰქონდა ადგილი **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში**.

თუ რამ განაპირობა როგორც საქსტატის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინიციატივა, სამსახურიდან დაეთხოვათ თავიანთი თანამშრომლები, IDFI-ისთვის ცნობილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საქსტატს დამატებითი თანამშრომლები ხანმოკლე ვადით ჰყავდა დაქირავებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად, უწყებას არ გაუკეთებია განმარტება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დასრულებას და თანამშრომელთა განთავისუფლებას შორის შესაძლო კავშირის შესახებ.

რაც შეეხება პირთა სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე ხშირ მიზეზს, სამინისტროების მსგავსად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, დამოუკიდებელი სსიპ-ებმაც (სულ 16 უწყება) 2014 წელს თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე ხშირ მიზეზად პირადი განცხადება/საკუთარი ინიციატივა დაასახელეს.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს 16 დამოუკიდებელი სსიპ-იდან განთავისუფლებული სულ 568 თანამშრომლიდან 274 თანამშრომელი (მათ შორის საქსტატის 147 თანამშრომელი) განთავისუფლდა პირადი განცხადების/ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, 97 თანამშრომელი - შრომითი ურთიერთობის ვადის გასვლის გამო, 41 თანამშრომელი - დამსაქმებლის ინიციატივით, 14 თანამშრომელი - ხელშეკრულების მოშლის გამო, 8 თანამშრომელი - გარდაცვალების შედეგად, 7 თანამშრომელი - სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, 5 თანამშრომელი - დისციპლინური სანქციისა და 4 თანამშრომელი - სასამართლოს გადაწყვეტილების/ განაჩენის საფუძველზე.

დისციპლინური სანქციისა და ხელშეკრულების მოშლის გამო თანამშრომელთა განთავისუფლების ცხრამეტივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა **სსიპ - საზოგადოებრივ მაუწყებელში**. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2014 წელს თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზთა შორის „ხელშეკრულების მოშლის“ დასახელება ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს, რამდენადაც საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტის ამგვარ საფუძველს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში დამოუკიდებელი სსიპ-ებიდან IDFI-ისთვის მოწოდებულ მონაცემებში თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზად, გარდა ზემოთ ხსენებული მიზეზებისა, ასევე დაფიქსირდა რამდენიმე სხვა მიზეზიც, კერძოდ:

- *კონკურსის არ გავლა* (შედეგად განთავისუფლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთი თანამშრომელი);
- *დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა* (შედეგად განთავისუფლდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ერთი თანამშრომელი);
- „სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 5 მაისის №86 განკარგულება; სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას (შედეგად განთავისუფლდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორი თანამშრომელი);

2014 წელს დამოუკიდებელ სსიპ-ებში (სულ 16 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით www.idfi.ge	
მიზეზები	განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა
პირად განცხადება	274
მხარეთა შეთანხმებით, საარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება	114
სამსახურის ვადის გასვლა	97
დამსაქმებლის ინიციატივა	41
ხელშეკრულების მოშლა	14
გარდაცვალება	8
სხვა სამსახურში გადასვლა	7
დისციპლინური გადაცდომა	5
სასამართლოს გადაწყვეტილება	4
კონკურსის არ გავლა	1
დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა	1
სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას	2
სულ:	568

3.2.2 მთავრობას და სამინისტროებს დაქვემდებარებული დაწესებულებები

2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა სიმრავლით სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის გამოირჩევიან:

- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- სასაზღვრო პოლიცია;
- შემოსავლების სამსახური;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული უწყებიდან 2014 წელს სულ განთავისუფლდა 714 თანამშრომელი, მათ შორის 325 თანამშრომელი - საკონტრაქტო სამსახურის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო, 149 თანამშრომელი - პირადი პატაკით, მხარეთა შეთანხმებით, ხოლო 125 თანამშრომელი - კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. როგორც ირკვევა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2014 წელს ასევე ადგილი ჰქონდა თანამშრომელთა განთავისუფლებას დისციპლინური წესით (29 შემთხვევა), დეპარტამენტის ან მთავარი სამმართველოს უფროსის პატაკის საფუძველზე (3 შემთხვევა) და

გამოსაცდელ ვადაში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო (1 შემთხვევა). ამასთან, IDFI-ისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა მისი ერთ-ერთი თანამშრომლის განთავისუფლების მიზეზად „ხელშეკრულების შეწყვეტა“ დაასახელა, თუმცა მიღებული პასუხიდან გაუგებარია, თუ რა გახდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის განცხადებით, 2014 წელს ცენტრიდან სულ 192 თანამშრომელი განთავისუფლდა, მათ შორის 176 თანამშრომელი - შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

როგორც ირკვევა, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მსგავსად, **ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაშიც** 2014 წელს თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე ხშირ საფუძველს შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა წარმოადგენდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული დაწესებულებიდან 2014 წელს სულ 138 თანამშრომელი განთავისუფლდა, აქედან 88 თანამშრომელი - შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 42 თანამშრომელი - მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ხოლო 8 თანამშრომელი - საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

სოციალური მომსახურების სააგენტოდან IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სააგენტოდან 2014 წელს სულ განთავისუფლდა 198 თანამშრომელი, მათ შორის 138 თანამშრომელი - მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, 41 თანამშრომელი კი - შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე. ამასთან, 2014 წელს სააგენტოს 2 თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა, ხოლო სააგენტოს 5 თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი - დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, როცა დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძველზე პირის სამსახურიდან დათხოვნის ყველაზე მეტი შემთხვევა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა **საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში**. როგორც ირკვევა, 2014 წელს აღნიშნული მიზეზით შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა სააგენტოს 11 თანამშრომელს.

დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე პირის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევები, რომლებიც IDFI-ისთვის წინამდებარე კვლევის შედეგად გახდა ცნობილი შემდეგია:

დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევის საფუძველზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევები (2014 წელი)
www.idfi.ge

საჯარო დაწესებულება	რაოდენობა
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	11 (დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა)
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	5 (დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა)
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	4 (დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა)
სოციალური მომსახურების სააგენტო	2 (დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა) 5 (დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, როცა დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა)
საქართველოს ეროვნული მუზეუმი	1 (დაკისრებული ვალდებულების დარღვევა)
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	1 (დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, როცა დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა)
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	1 (დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება)
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	3 (დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა)

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს შრომითი ურთიერთობა შეწყდა **სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა** და მის 15 თანამშრომელს შორის, თუმცა აღნიშნულის მიზეზები სააგენტომ IDFI-ის არ განუმარტა.

რაც შეეხება სამინისტროებს დაქვემდებარებული 35 სსიპ-იდან და საქვეუწყებო დაწესებულებიდან 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობას განთავისუფლების მიზეზების მიხედვით, აღნიშნული უწყებებიდან 2014 წელს განთავისუფლებული სულ 2003 თანამშრომლიდან 802 თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურის ან კონტრაქტის/ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე (აქედან 325 საქართველოს სახელმწიფო დაცვის

სპეციალური სამსახურში კონტრაქტით დასაქმებული პირი), ხოლო პირადი განცხადების/ პატაკის საფუძველზე - 598 თანამშრომელი. სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებში 2014 წელს ასევე ადგილი ჰქონდა მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე თანამშრომელთა განთავისუფლების 181 შემთხვევას და სხვა სამსახურში გადასვლის საფუძველზე თანამშრომელთა განთავისუფლების 104 შემთხვევას.

სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებში 2014 წელს ზემოაღნიშნული მიზეზებით განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია დისციპლინური გადაცდომის და რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა (დასაქმებულის განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე - სულ 36 შემთხვევა, დასაქმებულის განთავისუფლება რეორგანიზაციის შედეგად - სულ 15 შემთხვევა).

მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო სამსახურიდან განთავისუფლდა არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთი თანამშრომელი, ხოლო შსს-ს ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ერთი თანამშრომელი.

სამინისტროებს დაქვემდებარებულ ზოგიერთ უწყებაში, რომელთა მონაცემები წინამდებარე კვლევის ფარგლებში იქნა გაანალიზებული, 2014 წელს ადგილი ჰქონდა თანამშრომელთა დათხოვნას არამართო ზემოთ დასახელებული, არამედ სხვა ცალკეული მიზეზებითაც. აღნიშნული უწყებებიდან თანამშრომელთა განთავისუფლების ყველა მიზეზი ჩამოთვლილია ქვემოთ განთავსებულ ნუსხაში.

სამინისტროებს დაქვემდებარებული დაწესებულებებიდან (სულ 42 უწყება) განთავისუფლებულ პირთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით (2014 წელი)
www.idfi.ge

მიზეზები	განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა
სამსახურის ან კონტრაქტის/ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა	836
პირადი განცხადება/პატაკი	945
მხარეთა წერილობითი შეთანხმება	181
კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლა	215
სხვა სამსახურში გადასვლა	390
განსაზღვრული ასაკის მიღწევა და წელთა ნამსახურობა	58
დისციპლინური გადაცდომა	51

დაკისრებული ვალდებულების დარღვევა	35
გარდაცვალება	38
რეორგანიზაცია	34
მინისტრის/პრემიერ მინისტრის ბრძანება	7
კონკურსის შედეგი	7
დეპარტამენტის ან მთავარი სამმართველოს უფროსის პატაკი	3
პენსიაში გასვლა	2
შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება	5
სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას	2
გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგი	2
გამოსაცდელი ვადის გასვლა	1
გამოსაცდელი ვადის პერიოდში დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა	1
ხელშეკრულების შეწყვეტა	1
სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა	7
შსს-ს ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა	1
შიდა ინსპექტირების დასკვნა	1
საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება	1
ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება	1
ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება	1
მიზეზი არ იქნა განმარტებული	16
სულ:	2832

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების შეჯამებისას ირკვევა, რომ 2014 წელს ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებიდან თანამშრომლები განთავისუფლდნენ ძირითადად შემდეგი მიზეზებით:

- პირადი განცხადება;
- შრომითი ურთიერთობის ვადის გასვლა;
- სხვა სამსახურში გადასვლა;
- დისციპლინური გადაცდომა;

საკუთარი განცხადების/ ინიციატივის საფუძველზე თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი სახელმწიფო მინისტრთა აპარატებსა და სამინისტროებში დაფიქსირდა. საკუთარი განცხადების/ ინიციატივის საფუძველზე სამსახური დატოვა აღნიშნული უწყებებიდან (სულ 17 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა 80%-მა. ამავე მიზეზით სამსახური დატოვა დამოუკიდებელი სსიპ-ებიდან (სულ 16 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა 48%-მა და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებიდან (სულ 42 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა 30%-მა.


შრომითი ურთიერთობის ვადის გასვლის საფუძველზე პროცენტულად ყველაზე მეტი (40%) თანამშრომელი სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებებიდან (სულ 42 უწყება) განთავისუფლდა. აღნიშნული მიზეზით დამოუკიდებელი სსიპ-ებიდან (სულ 16 უწყება) დათხოვნილ იქნა განთავისუფლებულ თანამშრომელთა 17%, ხოლო სამინისტროებიდან/ სახელმწიფო მინისტრთა აპარატებიდან (სულ 17 უწყება) - განთავისუფლებულ თანამშრომელთა 7%.

ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებში 2014 წელს საკუთარი განცხადების ან/და შრომითი ურთიერთობის ვადის გასვლის საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა პროცენტულ მაჩვენებლებზე გაცილებით დაბალია სხვა სამსახურში გადასვლის და დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებლები - გარდა ერთი გამონაკლისისა: სამინისტროების/ სახელმწიფო მინისტრთა აპარატების შემთხვევაში 2014 წელს სამსახურის ვადის გასვლისა და დისციპლინური გადაცდომის მიზეზებით განთავისუფლებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთს უთანაბრდება.

სხვა სამსახურში გადასვლის მიზეზით 2014 წელს განთავისუფლდა სამინისტროებიდან/ სახელმწიფო მინისტრთა აპარატებიდან (სულ 17 უწყება) და სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებებიდან (სულ 42 უწყება) განთავისუფლებულ თანამშრომელთა 5-5%, ხოლო დამოუკიდებელი სსიპ-ებიდან (სულ 16 უწყება) - განთავისუფლებულ თანამშრომელთა მხოლოდ 1%.


დისციპლინური გადაცდომის მიზეზით თანამშრომელთა განთავისუფლების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (7%) დაფიქსირდა სამინისტროების/ სახელმწიფო მინისტრთა აპარატების შემთხვევაში.

**ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებიდან
განთავისუფლებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებლები
განთავისუფლების მიზეზების მიხედვით**
www.idfi.ge



ამასთან, როგორც ქვემოთ გამოსახული გრაფიკიდან ჩანს, 2014 წელს სამინისტროებში სასამართლო გადაწყვეტილებისა და დაკისრებული ვალდებულების დარღვევის მიზეზებით თანამშრომელთა განთავისუფლებას ადგილი არ ჰქონია. დამოუკიდებელი სსიპ-ების შემთხვევაში დაფიქსირდა სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად თანამშრომელთა განთავისუფლების 4 და დაკისრებული ვალდებულების დარღვევის 1 შემთხვევა. დაკისრებული ვალდებულების დარღვევის საფუძველზე ყველაზე მეტი (35) თანამშრომელი განთავისუფლდა სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებში (სულ 42 უწყება).

**სასამართლო გადაწყვეტილებისა და დაკისრებული ვალდებულების
დარღვევის საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა
რაოდენობა (2014 წელი)**
www.idfi.ge



4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

როგორც კვლევის დასაწყისში აღინიშნა, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის 112 დაწესებულებას, რომელიც იყოფა 56 მუნიციპალიტეტის საკრებულოდ და 56 გამგეობად/მერიად.

IDFI-ს მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა ადგილობრივი თვითმმართველობის 9 დაწესებულებამ. ამასთანავე, ინსტიტუტმა გამოითხოვა მხოლოდ 4 თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს და მერიის ინფორმაცია: რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი.

თვითმმართველობის საკრებულოები და გამგეობები, რომლებმაც IDFI-ს მიერ გაგზავნილ წერილებს პასუხი არ გასცა
www.idfi.ge

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
4. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
5. წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა
6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა
7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა
8. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა
9. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

უპასუხოდ დატოვებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების გარდა ასევე გამოიკვეთა 13 შემთხვევა, როდესაც ადგილობრივმა თვითმმართველობის დაწესებულებამ IDFI-ს 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის და მიზეზების შესახებ ინფორმაცია საპასუხო წერილში არ შეიტანა.

თვითმმართველობის საკრებულოები და გამგეობები რომელთა გამოგზავნილი პასუხიც არ შეიცავდა 2014 წელს თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ ინფორმაციას

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა
3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა
5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
6. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
7. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო
8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო
9. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
10. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
11. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო
12. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
13. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

4.1 ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის 91 დაწესებულებიდან 2014 წელს ჯამში სხვადასხვა მიზეზით **განთავისუფლდა 3251 ადამიანი.**

აღნიშნული კვლევაში არ არის შესული გარდაცვალების გამო სამსახურიდან განთავისუფლებულ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები და სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ პირთა შესახებ ინფორმაცია. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში განთავისუფლების ძირითადი მიზეზები ასე გამოიყურება:

- პირადი განცხადება/საკუთარი ინიციატივა;
- რეორგანიზაცია/შტატის შემცირება;
- ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის;
- გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
- სამსახურის ვადის გასვლა;
- ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები;
- დაწესებულების ლიკვიდაცია;

ამასთანავე, გამოიკვეთა შემთხვევები როდესაც თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზის დადგენა არ იყო შესაძლებელი. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ თანამდებობიდან განთავისუფლების ყველაზე ხშირი მიზეზი რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული შტატების შემცირებაა. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში თანამდებობიდან განთავისუფლების მეორე ყველაზე ხშირი მიზეზი დაწესებულების ლიკვიდაცია აღმოჩნდა, ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლების მესამე ყველაზე გავრცელებული მიზეზი თანამშრომლის საკუთარი ინიციატივაა.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების დაწესებულებებში(საკრებულოებში და გამგეობებში) განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით	
www.idfi.ge	
მიზეზები	განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა
რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული შტატის შემცირება	1377
დაწესებულების ლიკვიდაცია	565
პირად განცხადება/საკუთარი ინიციატივა	481
ხელშეკრულების ვადის გასვლა	336
სამსახურის ვადის გასვლა	234
ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგი	104
დისციპლინური გადაცდომისათვის	30
სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა	9
მიზეზი არ არის დადგენილი	115
სულ:	3251

2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი (191) თანამშრომელი განთავისუფლდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, სადაც 138 თანამშრომელი განთავისუფლდა რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული შტატების შემცირების გამო, 40 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 9 თანამშრომელი პირადი განცხადების საფუძველზე, 2 თანამშრომელი დისციპლინური გადაცდომისათვის, ხოლო 2 თანამშრომელი სამსახურის ვადის გასვლის და ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგის

გამო. თანამდებობიდან განთავისუფლების სიმრავლით მეორე ადგილზეა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდანაც ჯამში განთავისუფლდა 163 თანამშრომელი - 151 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 9 თანამშრომელი შტატის შემცირების გამო, 3 თანამშრომელი პირადი განცხადების საფუძველზე. განთავისუფლების სიმრავლით მესამე ადგილზეა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდანაც ჯამში განთავისუფლდა 145 თანამშრომელი - 80 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო და 65 შემცირების გამო.

თვითმმართველობის საკრებულოები და გამგეობები, სადაც 2014 წელს თანამდებობიდან განთავისუფლდა ყველაზე მეტი თანამშრომელი
www.idfi.ge

დაწესებულება	განთავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა
1. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	191
2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	163
3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა	145
4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	136
5. ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	130
6. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა	125
7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა	111
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	110

2014 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან ყველაზე მეტი ადამიანი გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განთავისუფლდა- 49 შემთხვევა. რეორგანიზაციით გამოწვეული შემცირების საფუძველზე ყველაზე მეტი ადამიანი ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განთავისუფლდა - 138 შემთხვევა. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ყველაზე მეტი თანამშრომელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განთავისუფლდა - 151 შემთხვევა. 2014 წელს დისციპლინური გადაცდომისთვის ყველაზე მეტი (7) ადამიანი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განთავისუფლდა. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის საფუძველზე ყველაზე მეტი განთავისუფლების შემთხვევა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაფიქსირდა, სადაც აღნიშნული მიზეზით 3 თანამშრომელი განთავისუფლდა. სამსახურის ვადის გასვლის გამო ყველაზე მეტი თანამშრომელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განთავისუფლდა - 69 შემთხვევა. ატესტაციის

არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამშრომელთა განთავისუფლების ყველაზე მეტ, 30 შემთხვევას ჰქონდა ადგილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. 2014 წელს დაწესებულების ლიკვიდაციის გამო ყველაზე მეტი თანამშრომელი განთავისუფლდა ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან - 94 შემთხვევა.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შემცირებით/რეორგანიზაციით გამოწვეული განთავისუფლებების მიუხედავად, მუნიციპალიტეტში 2015 წლისათვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ხარჯები გაიზარდა. მაგალითად, მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სადაც რეორგანიზაციის/შემცირების გამო თანამდებობიდან განთავისუფლდა გამგეობის 71 თანამშრომელი, ხოლო 2015 წლისათვის დაგეგმილი შრომის ანაზღაურება მუნიციპალიტეტში გაიზარდა 1 211 300 ლარიდან 1 219 800 ლარამდე⁹. ანალოგიური შემთხვევა გამოიკვეთა ზესტაფონის მუნიციპალიტეტშიც, სადაც შტატის შემცირების გამო განთავისუფლდა გამგეობის 19 თანამშრომელი, ხოლო მუნიციპალიტეტის შრომის ანაზღაურების ხარჯები 2015 წლის ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით 122 100 ლარით გაიზარდა.¹⁰ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, შრომის ანაზღაურების ხარჯები 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა 123 200 ლარით¹¹, თუმცა მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და საკრებულოდან შტატის შემცირების გამო განთავისუფლდა ჯამში 33 თანამშრომელი. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით შრომის ანაზღაურების ხარჯები 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 165 000 ლარით¹², თუმცა IDFI-ს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან რეორგანიზაციით გამოწვეული შტატების შემცირების გამო განთავისუფლდა 32 თანამშრომელი. გაუგებარია რა მიზეზით შეიძლება იზრდებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხარჯები იმ დროს, როდესაც მუნიციპალიტეტის დაწესებულებებში შტატების შემცირება ხდება.

⁹ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №47 თიანეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2646953>

¹⁰ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №60 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2644816>

¹¹ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №89 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2655732>

¹² ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №53 ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2648081>

5. დასკვნა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საჯარო დაწესებულებებისგან გამოითხოვა 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, განთავისუფლების მიზეზების მიხედვით. აღნიშნულმა კვლევამ მოიცვა 17 სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 16 დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სამინისტროებს დაქვემდებარებული 42 საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამასთანავე, კვლევა მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობების 91 საკრებულოსა და გამგეობას. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ჯამში აღნიშნული საჯარო დაწესებულებებიდან 2014 წელს **განთავისუფლდა 8 388 თანამშრომელი**. აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს როგორც საჯარო მოხელეებს, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელს.

საჯარო სამსახურის ბიუროს 2013-2104 წლების ანგარიშის¹³ მიხედვით, აღნიშნული პერიოდისათვის საჯარო სამსახურში დასაქმებული იყო 63 394 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პლატფორმა არ არის სრულად დანერგილი, რაც არ იძლევა იმის საშუალებას რომ უწყებებმა აწარმოონ ზუსტი სტატისტიკა საჯარო მოხელეთა და ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების ბრუნვა საკმაოდ დიდი რაოდენობით ხდება, რაზეც ამ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციაც მეტყველებს.

საჯარო სამსახურის რეფორმის მიხედვით, რომელიც საქართველოში 2014 წლიდან ხორციელდება, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მიმოქცევა უფრო განჭვრეტადი და დაბალანსებული უნდა გახდეს. საჯარო სამსახურის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის მიღება, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 27 ოქტომბერს მიიღო და რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან სრულად ამოქმედდება. საჯარო სამსახურის რეფორმის პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს საჯარო სამსახურში კარიერული პრინციპების დამკვიდრება, რაც მას თავისთავად დაიცავს ისეთი რყევებისგან, როგორიცაა მასიური და დაუსაბუთებელი განთავისუფლება.

¹³ საჯარო სამსახურის ბიუროს 2013-2014 წლების ანგარიში, <http://csb.gov.ge/publications/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98>